Tepe Akfen
TAV
Georgia

თარიღი : 21 / 04 / 2017
ნომერი: TAV.GM.4227

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ ზურაბ წიკლაურს

ბატონო ზურაბ,

წინამდებარე წერილზე, დანართის სახით (1 კომპაქტ დისკი) წარმოგიდგენთ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის „დაბრკოლებებისაგან შემზღუდველი ზედაპირებით შემოფარგლული აეროდრომის რაიონი“-ს სქემის ელექტრონულ ვერსიას ArcGIS პროგრამაში.

სქემაზე, თვალსაჩინოებისთვის, სხვადასხვა ფერით დატანილია დაბრკოლებებისგან შემზღუდ-ველი ზედაპირები და შენობა-ნაგებობების დასაშვები ზღვრული აბსოლუტური სიმაღლეები, ზღვის საშუალო დონიდან. გამონაკლისს წარმოადგენს წითელი ფერით მონიშნული არე, სადაც ნებისმიერი შენობა-ნაგებობის განთავსების ადგილი და სიმაღლე დაინტერესებულმა პირმა უნდა შეათანხმოს აერდრომის ექსპლუატანტთან, შპს „ტავ ურბან საქართველო“-სთან.

საქართველოს საჰაერო კოდექსის 41-ე მუხლის „აეროდრომის რაიონში მიწათსარგებლობა და ობიექტების მშენებლობა“ (11.12.2015.№4620) შესაბამისად, აეროდრომის ექსპლუატანტთან შეთანხმებას ასევე ექვემდებარება, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის „დაბრკოლებებისაგან შემზღუდველი ზედაპირებით შემოფარგლული აეროდრომის რაიონი“-ს ფარგლებში დაგეგმილი სამშენებლო ობიექტი, რომლის საპროექტო აბსოლუტური სიმაღლე აღემატება სქემაზე აღნიშ-ნული დასაშვები სიმაღლეების ზღვარს.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტის „დაბრკოლებებისაგან შემზღუდველი ზედაპირებით შემოფარგლული აეროდრომის რაიონი“-ს ფარგლებში, იმ ობიექტებზე, რომელთა მშენებლობა დაგეგმილია, სქემაზე წითელი ფერით მონიშნულ არეში ან/და რომელთა საპროექტო სიმაღლე აღემატება დასაშვები ზღვრული აბსოლუტური სიმაღლის მნიშვნელობას, სამშენებლო ნებარ-თვების გაცემამდე, გთხოვთ დაინტერესებულ პირს, მოსთხოვოთ შენობა-ნაგებობის განთავსების ადგილის და სიმაღლის შეთანხმება აეროდრომის ექსპლუატანტთან.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტის „დაბრკოლებებისაგან შემზღუდველი ზედაპირებით შემოფარგლული აეროდრომის რაიონი“-ს ფარგლებში შენობა-ნაგებობების განთავსების ადგი-ლის და სიმაღლის შესათანხმებლად, დაინტერესებულმა პირმა, აეროდრომის ექსპლუატანტთან უნდა წარმოადგინოს:

1. განცხადება შენობის-ნაგებობის განთავსების შეთანხმებაზე;
2. ასაშენებელი ობიექტის გეოგრაფიული კოორდინატები, WGS-84 სისტემაში, DD$^0$ MM' SS.s'' ფორმატით;
3. ასაშენებელი ობიექტის მაქსიმალური სიმაღლე MMM.m ფორმატში;

TAV Urban Georgia LLC
Tbilisi International Airport
0158 Tbilisi, Georgia
T: (+995 32) 2 310 265
F: (+995 32) 2 310 322
www.tbilisiairport.com

№ 07/3787-13
21. 04. 2017

URS CERTIFICATE NO. 31199

4. ობიექტის სამშენებლო მოედნის შემაღლება საშუალო ზღვის დონიდან (MSL) MMM.m ფორმატში;
5. ასაშენებელი ნაგებობის/კონსტრუქციის (ობიექტის) მშენებლობის პერიოდში გამოყენე-ბული მოწყობილობების/მექანიზმების სიმაღლეები (სამშენებლო ამწეკრანების და სხვა);
6. სამშენებლო მოედანთან ახლოს მდებარე ყველაზე მაღალი ობიექტის შესახებ ინფორმაცია (კოორდინატები, ფარდობითი სიმაღლე), ასეთის არსებობის შემთხვევაში;
7. სქემატური ნახაზი, სიტუაციური გეგმა მასშტაბის მითითებით;
8. ასაშენებელი ობიექტის დანიშნულება.

**დანართი:** თბილისის საერ-თაშორისო აეროპორტის „დაბრკოლებებისაგან შემზღუდველი ზედაპირებით შემოფარგლული აეროდრომის რაიონი“-ს სქემის ელექტრონული ვერსია ArcGIS პროგრამაში - 1 კომპაქტ დისკი.

პატივისცემით,

თეა ზაქარაძე

გენერალური მენეჯერის მოადგილე

ZG